საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/785
09/02/2023

785-21-2-202302091319

შპს „ლესულულუხეჰესს“

მის: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ნიკოლოზ ყიფშიძის ქუჩა, N 4, ბინა 86

ელ-ფოსტა: lesulukhe@yahoo.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2023 წლის პირველი თებერვლის N689 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლესულულუხეს მიმდებარედ „ლესულულუხე ჰესის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკოპინგის ანგარიშში, 5.6.3 პარაგრაფში წარმოდგენილი ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას (სურათი 5.6.3.1 - ჰესის შენობამდე მისასვლელი გზის სქემა). კერძოდ, წარმოდგენილი shp ფაილების გადამოწმების შედეგად, დადგინდა, რომ ჰესის შენობის ადგილმდებარეობა არ შეესაბამება 5.6.3.1 სურათზე ასახულ ჰესის შენობის განთავსების ტერიტორიას, შესაბამისად, დასაზუსტებელია ჰესის შენობამდე მისასვლელი გზის მარშრუტი და ჰესის შენობის ადგილმდებარეობა;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ქსელში მიწოდებისთვის, გათვალისწინებულია 35 კვ სიმძლავრის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, რომელიც მოიცავს საჰაერო და მიწისქვეშა სექციებს. წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ეგხ-ის დერეფნის შესახებ, სადაც ერთმანეთისგან გამოყოფილი იქნება საჰაერო და მიწისქვეშა სექციები. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ეგხ-ის დერეფნის shp ფაილები და საყრდენების განთავსების ადგილების GPS კოორდინატები;
- shp ფაილებში ასახული უნდა იქნეს საპროექტო ჰესის შეტბორვის კონტური;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, მოსაჭრელი გრუნტის მოცულობა იქნება 168 420 m^3-ს, საიდანაც 40 656 m^3

მოცულობის გრუნტის განთავსება დაგეგმილია სანაყაროზე. წარმოდგენილი უნდა იქნეს დარჩენილი გრუნტის (127 764 $მ^3$) გამოყენების შესახებ ინფორმაცია;

- სკოპინგის ანგარიშში 6.10.1.3.1; 6.10.1.3.3; 6.10.1.3.2 ცხრილებში წარმოდგენილი GPS კოორდინატები არ არის UTM ფორმატში და საჭიროებს დაზუსტებას;
- წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააგენტო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული საკითხების გათვალისწინებით, განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო